ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №6

2018 წლის 23 თებერვალი

ქ. ქარელი

ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 17 ივლისის №19 დადგენილებაში „ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლისა და საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულო ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 17 ივლისის №19 დადგენილებით „ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ დამტკიცებული დანართ №1-ში (**www.matsne.gov.ge**, 18/07/2014, სარეგისტრაციო კოდი 010250020.35.144.016152) და:

1 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. აპარატის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია „საქართველოს კონსტიტუცია“, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს კანონი ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“,

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 აპრილის №220 დადგენილება ,,პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, საკრებულოს რეგლამენტი, ეს დებულება და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები”.

2.დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 4. საკრებულოს აპარატი

„აპარატის საქმიანობას წარმართავს პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი). აპარატის შემადგენლობაში შედიან ასევე პროფესიული საჯარო მოხელეები (შემდგომში მოხელე) – მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტები და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები“.

3. დადგენილებით დამტკიცებულ დანართის მე-5 მუხლს დაემატოს ,,ო“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ო) ახორციელებს საქმიანობას სამუშაო აღწერილობების მიხედვით, რომლითაც განისაზღვრება როგორც პროფესიული საჯარო მოხელეების, ასევე ხელშეკრულებით დასაქმებული პირების საქმიანობის სფერო, სამსახურებრივი ფუნქციები და მოვალეობები“.

4. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-6 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 6. პირველი რანგის საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – აპარატის უფროსი“.

5. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტი

ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ბ) შეიმუშავებს და საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს აპარატის საშტატო ნუსხის და მოსამსახურეთა სამუშაო აღწერილობების (კომპეტენციებისა და ფუნქციების) პროექტებს“.

6. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

7. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-6 მუხლს დაემატოს მე-6 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილების ,,საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ შესაბამისად, წარმართავს საკონკურსო კომისიის საქმიანობას და არის საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე“.

8. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-6 მუხლს დაემატოს მე-7 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. აკონტროლებს აპარატის მოსამსახურეთა საქმიანობას და ახდენს მათ შეფასებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად“.

9. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. აპარატის საჯარო მოსამსახურეების თანამდებობაზე დანიშვნის წესი

1. აპარატის საჯარო მოსამსახურეები თანამდებობაზე ინიშნებიან საქართველოს კანონის ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილების ,,საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ შესაბამისად.

2. აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობის დასაკავებლად კონკურსს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ატარებს საკრებულოში შექმნილი საკონკურსო კომისია.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქარელის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ივანე არდემანაშვილი**